# საქართველო

№13(40) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 28 მარტი 1943 წ.


## ჩვენი ბრძოლის იდეური საფუძველი

კაცობრიობის ისტორიაში ძნელად მოიპოება ისეთი ერი, რომელსაც ეროვნული თავისუფლებისათვის იმდენი ბრძოლა და თავგანწირვა გადაეხადოს როგორც ქართველ ხალხს. საუკუნეთა მანძილზე ერის საუკეთესო შვილების უკეთილშობილესი იდეალი იყო დაჩაგრული მამულის მეობის აღდგენა. ქართველი ხალხის თაობები იარაღით ხელში დღე და ღამ ებრძოდნენ მოწოლილ მტერს და ცხელი სისხლით ინარჩუნებდნენ მიწის თვითეულ მტკაველს.

სამშობლო — ყველაზე ძვირფასი და შთამაგონებელი იყო და არის ქართველ ადამიანისათვის. ეს დიადი რწმენა ალომებდა ჩვენს ხალხს, მას უყვარდა მშობელი მიწა, ამან იხსნა ჩვენი ერი საუკუნეების განმავლობაში, შეუნარჩუნა ერობა და მომავლისათვის დუღაბით შეკრული საძირკველი ჩაუდო.

ქართველ ხალხის სისხლის მსმელი მტრები, ბოლშევიკები, კარგად გრძნობდნენ ქართველი ხალხის ამ რწმენის სიდიადეს. კრემლის სატრაპებმა იცოდნენ, რომ ვიდრე ქართველში არსებობდა ეროვნული შეგნება და თავისუფლების მოყვარული გრძნობა, შეუძლებელი იყო ბოლშევიზმის მტაცებლური პოლიტიკის გატარება. ბოლშევიკებმა საბრძოლო დევიზად დაისახეს ნაციონალური შეგნების ინტერნაციონალიზმის შხამით მოწამლვა, ამიტომ ცეცხლითა და მახვილით შეებრძოლენ ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებას. ქართველ ხალხს ახსოვს სისხლიანი ტერორის შავი წლები, როცა ბოლშევიკები ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს ათასობით მიერეკებოდნენ ციმბირის კატორღისაკენ, შინსახკომის ჯურღმულებისაკენ. მოსკოვ-ვოლგისა და თეთრი ზღვის არხზე, აგრეთვე სხვა მშენებლობებზე კატორღული შრომაში ათასეულობით დალიეს სული ჩვენმა ძმებმა, მამებმა. ქართველი ხალხის ძვლებზე აშენებდა ბოლშევიზმი თავის დიქტატურას საქართველოში. 22 წლის განმავლობაში ბოლშევიკებმა საქართველო გადააქციეს ჯოჯოხეთად. მონობა და ჩაგვრა არ არიან ახალი მცნებანი, კაცობრიობის ისტორია მას შორეულ წარსულიდან იცნობს, მაგრამ ის ტანჯვა და ვაება, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა ამ 22 წლის მანძილზე ყოველგვარ წარმოდგენას აჭარბებს.

ქართველი ხალხისა და კულტურის მტრები ბოლშევიკები ქართველ ხალხს ავიწყებდნენ თავის ბრწყინვალე ისტორიას — ეს გასაგებიცაა; ბოლშევიზმი ცდილობდა ძირბუდიანად ამოეგდო ხალხის გულიდან ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა. მაგრამ ციხემ, კატორღამ, დახვრეტებმა, ყინულოვანმა უდაბნოებმა, სისხლმა ვერ აღმოკვეთეს ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობა. დრო და დრო ხალხის წიაღიდან გამოდიოდნენ ნაციონალური განთავისუფლებისათვის შეუდრეკელი მებრძოლნი, რომლებიც ფანატიკური რაინდობით ებრძოდნენ მტერს, აღვიძებდნენ ხალხში ბრძოლის წყურვილს. ისტორიას ახსოვს ქართველ ხალხის მრავალი შეიარაღებული გამოსვლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

დღეს, როცა დიადი გერმანელი ხალხის მეთაურობით ძლევამოსილად გაიშალა ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის დროშა, თვითეული პატარა ერისათვის გადაშლილია ფართო ასპარეზი გამოვიდეს ბრძოლის მოედანზე, იბრძოლოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მოიპოვოს ეროვნული თავისუფლება. ამ დიდი საკაცობრიო ბრძოლის მომენტში, ჩვენ, ქართველ ხალხის შვილებს გვაკისრია პასუხსაგები მოვალეობა, თავგანწირვით ვიბრძოლოთ სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ახლანდელს სამართლიან ომში, რომელსაც გერმანიის უძლეველი ლაშქარი აწარმოებს, ჩვენი ადგილი არის იმ პატარა ერებს შორის, რომლებიც იბრძვიან ახალი სოციალური საზოგადოებრივი წესრიგისათვის, თავისი ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის. **ჩვენი ბრძოლის იდეალი არის—დაჩაგრული მამულის ხსნა, ჩვენსდროშაზე აწერია — სამშობლოს განთავისუფლება. თვითეულ ჩვენგანს ყოველ წუთს ბრძოლის რაინდული სურვილით უნდა ალანთებდეს ეს წმინდა იდეალი.** გერმანელი ჯარისკაცებთან მხარდამხარ, ტყვიების წვიმაში, საარტილერიო გრგვინვაში, მტერთან ხელჩართული შეტაკებების დროს და ყოველთვის ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვაცვია ყველაზე ძლიერი და რაინდული არმიის მუნდირი, რომლის მკერდზედაც გამოსახულია სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის დიადი სიმბოლო. იბრძოდე ამ არმიის რიგებში, ატარებდე ამ მუნდირს არის ღირსება, სიამაყე.

**ძმებო ლეგიონერებო! სისხლი, რომელსაც ჩვენ ვღვრით ამაოდ არ ჩაიარს. იგი გამოიღებს საშვილიშვილო ნაყოფს. ჩვენი გმირობა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ქართველი ხალხის ახალგაზრდა თაობებისათვის იქნება რაინდობის აღზრდის უშრეტი წყარო.**

**ბოლშევიკები ამაოდ ცდილობენ შეინარჩუნონ სისხლიანი რეჟიმი. ისტორიამ გააშიშვლა მათი სახე. ხალხის ერთსულოვნება და სიმართლე ძლიერია ყველა სიცრუეზე და მზაკვრობაზე. ხალხი, რომელიც იდეად დაუსახავს სამშობლოს ხსნა უძლეველია. ეს წმინდა რწმენა აქცევს ჩვენ ხალხს ყველაფრის მძლევ ძალად ბოლშევიზმის ბნელი ძალების წინააღმდეგ.**

**ჩვენი ბრძოლის იდეა —უმაღლესი და უწმინდესია. სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგები შემტკიცებულია ერთიანობით, იგი იზრდება და იბრძმედება. ეს გარემოება ადასტურებს იმას, რომ ბრძოლის მიზანი ნათელი და სასიცოცხლო მისწრაფებაა თვითეული ქართველისათვის.**

**ამ ბრძოლის მიზანია არა მარტო სტალინის დიქტატურის დამხობა, ბოლშევიზმის სამუდამო განადგურება, არამედ ჩვენი ხალხის სანუკვარი ოცნებათა განხორციელება, ეროვნული მეობის აღდგენა, იმ ნება სურვილთა აღსრულება, რომლისთვისაც იგი იბრძვის დღეს გერმანელ ხალხის გვერდით.**

**ჩვენ გვსურს მამული იყოს თავისუფალი, ჩვენი ხალხი ცხოვრობდეს თავისუფალი ნაციონალური ცხოვრებით, აღსდგეს ქართველი გლეხკაცობა ჩვენი ცხოვრების სიძლიერის ბურჯი, გახდეს იგი მიწისა და თავისი შრომის დოვლათის ნამდვილი ბატონ-პატრონი, გაიშალოს ჭეშმარიტი შემოქმედებითი მუშაობა, აღსდგეს ქართველი ინტელიგენცია, ათასწლოვანი კულტურა. ყველაფერი ეს ჩვენ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ.**

**ძმებო ლეგიონერებო! გვიყვარდეს და გულმხურვალედ ვემსახურებოდეთ წმინდა იდეალს—სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. მამული, ჩვენი ცრემლიანი ოჯახები, გაცივებული კერები, ობოლი ცოლ-შვილი, გადამწვარი სოფლები, მსხვერპლად შეწირული მამებისა და ძმების სისხლი, რომლის სახელითაც ვიბრძვით დღეს—იყოს ჩვენთვის გმირობისა და თავგანწირვის წყარო, რომელიც ყოველ წუთს ,აღაგზნებს ჩვენს გულებს შურისძიების წყურვილით —გავანადგუროთ ჩვენი მჩაგვრელი ბოლშევიზმი! მებრძოლო ძმებო, ქართველო ხალხო! გწამდეთ გამარჯვება. გაიმარჯვებს ხალხის ერთსულოვნება, ბოლშევიზმი აღიგვება ქართულ მიწისაგან პირსა!..**



ადოლფ ჰიტლერის სიტყვა ცოიგჰაუსში

## გმირთა მოგონების დღე

**21 მარტს გერმანიის ხალხის გმირთა მოგონების დღეს ბერლინის ცოიგჰაუსში შესდგა სახელმწიფო აქტი. აქტში მონაწილეობა მიიღეს გენერლებმა, ადმირალებმა, შეიარაღებული ძალების ყველა უმაღლესმა პირებმა, პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა. აქტს დაესწრო 300-ზემეტი დაჭრილი ჯარისკაცი. გერმანიის ხალხის ბელადი ადოლფ ჰიტლერი აქტზე მოვიდა იმპერიის მარშალის ჰერმან გერინგის, გენერალ-ფელდმარშალის კაიტელის, გროს-ადმირალის დენიტცას, იმპერიის „სს"-ს ხელმძღვანელის ჰიმლერის გენერალ-ფელდმარშლების მილხისა და ბოკის თანხლებით. ადოლფ ჰიტლერმა წარმოსთქვა სიტყვა რომელიც უდიდესი ყურადღებით იქნა მოსმენილი, როგორც გერმანიაში, ისე საზღვარგარედ.**

**კვირას 21 მარტს ბერლინის ცოიგჰაუსში სიტყვით გამოვიდა გერმანელი ხალხის ბელადი ადოლფ ჰიტლერი. მან თავის შესანიშნავ სიტყვაში აღნიშნა, რომ ამჟამად აღმოსავლეთში ფრონტი სტაბილიზებულია, გამოსთქვა ბოლშევიზმის საბოლოო განადგურების სრული რწმენა და მოწოდებით მიმართა ხალხს მობილიზაცია უყოს ყველა თავის ძალას გადამწყვეტი ბრძოლისათვის ევროპის მომავალი ბედნიერებისათვის, გერმანელი ხალხის კეთილდღეობისათვის და იმ ხალხთა ბედნიერებისათვის, რომლებიც დიდ გერმანიასთან ერთად მხარ-და-მხარ იბრძვიან ბოლშევიზმის წინააღმდეგ.**

ნაციონალ-სოციალიზმი, — განაცხადა ადოლფ ჰიტლერმა,— რომელმაც ერთხელ მძაფრ ბრძოლაში დაჰგმო რა ყოველგვარი კომპრომისი გაიმარჯვა თავის მტრებზე, დღეს როცა იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალას, მიაღწევს გამარჯვებას გარეშე მტრებზე. ამ ბრძოლაში გერმანიას მხარს უჭერენ ის ერები, რომელთაც გადასწყვიტეს დაიცვან თავიანთი ცხოვრება და კულტურა ბოლშევიზმისაგან. თანამებრძოლები უწინარეს ყოვლისა არიან ის ერები, რომელთათვისაც ნათელი გახდა, რომ მათი მომავალი განუყრელადაა დაკავშირებული იმ სისტემასთან, რომელსაც შეუძლია დაამსხვრიოს ბოლშევიზმი, გზა გადაულობოს ამ განადგურებისა და ნგრევის იარაღს.

სიტყვის დასასრულში მოიგონა რა დიადი გამანთავისუფლებელი ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულნი ბელადმა სთქვა: „ის 542 ათასი მამაკაცი, რომელთაც თავი გასწირეს მეორე მსოფლიო ომში, ამაო მსხვერპლნი არ არიან. ისინი მუდმივ იცოცხლებენ ჩვენს რიგებში, როგორც დაუვიწყარი გმირები ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლაში."

### ნოვოროსისკთან

გერმანიის თვითმფრინავები განაგრძობდნენ ბოლშევიკების ჯარის გადმოსხმის ადგილების ბომბარდირებას ნოვოროსისკთან. მტრის პოზიციებზე და თავშესაფარებში აფეთქდა მრავალი ყუმბარა, რომლებმაც გაანადგურეს დიდძალი სამხედრო იარაღი და ცოცხალი ძალა. შავი ზღვის სანაპიროებზე გერმანელებმა ჩასძირეს საბჭოთა ერთი სატრანსპორტო გემი.

# მდგომარეობა ფრონტებზე

აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთით ბელგოროდამდე 21 მარტის განმავლობაში მიმდინარეობდნენ მცირე ხასიათის ბრძოლები. გერმანიის არმიის იერიში კურსკის სამხრეთ-დასავლეთით წარმატებით განაგრძობს განვითარებას.

ვიაზმის სამხრეთ-დასავლეთით და ლადოგის ტბის სამხრეთით კვლავ იქნა უკუგდებული ბოლშევიკების შეტევის ცდები გაერღვიათ გერმანელთა თავდაცვის ხაზი. საბჭოთა ჯარმა დიდი ზარალი ნახა. ფრონტის მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთით ავიაციის დახმარებით გერმანელებმა გაანადგურეს მტრის 270 ტანკი.

სამი დღის წინად ლენინგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაწყებული მძაფრი შეტევანი საბჭოთა ჯარისა' შეხვდა გერმანიის არმიის მძლავრ დარტყმასა და მტერი უკუგდებული იქნა დიდი ზარალითა და განადგურებით.

სამხრეთ და შუა ტუნისში ამერიკისა და ინგლისის მსხვილი სამხედრო ძალებმა აწარმოეს შეტევა იტალიის პოზიციების წინააღმდეგ. გრძელდება მძაფრი ბრძოლა, როგორც ხმელეთზე ისე ჰაერში.

20 მარტს ღამით გერმანიის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ტრიპოლის ნავთსადგურს და ჩაძირეს მტრის სამი სავაჭრო გემი და ერთი მცველი ხომალდი.

## ამბოხება ირანში

ირანის ჩრდილოეთ' პროვინციებში მოსახლეობის ფარულმა უკმაყოფილებამ აშკარა შეიარაღებული აჯანყების სახე მიიღო. ირანის არმიის ცალკეული ნაწილები, შეუერთდნენ რა მოსახლეობას, აჯანყდნენ ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ. ბრძოლის ცენტრები იმყოფებიან ჟილანისა და აზერბაიჯანის პროვინციებში.

თვით თავრიზში მოხდა სისხლიანი შეტაკებანი, მაგრამ ბოლშევიკებმა შესძლეს აჯანყების ჩაქრობა. შუაგულ პროვინციებში ირანელ პატრიოტთა აჯანყება მიმდინარეობს წარმატებით. მთელ რიგ სოფლებში ბოლშევიკური გარნიზონები განადგურებულია. თავრიზის სამხრეთი და აღმოსავლეთით მთელი რაიონები გაწმენდილია ბოლშევიკებისაგან. ირანის ჯარის ნაწილები ემზადებიან რათა ხელმეორედ გაილაშქრონ თავრიზის წინააღმდეგ,

ეს სამხედრო აჯანყება წარმოადგენს ირანის ჯარის აშკარა წინააღმდეგობას ალი სოხეილის მთავრობისადმი, რომელიც ატარებს ბოლშევიკებთან დაახლოების პოლიტიკას.



ტუნისი. ინგლისელთა განადგურებული ქვემეხი.

## მღელვარება მახლობელ აღმოსავლეთში

ამას წინად ეგვიპტის პარლამენტის ერთ ერთმა დეპუტატმა პარლამენტში გამოსვლის დროს დაახასიათა ეგვიპტის ნამდვილი მდგომარეობა. მან მოუთხრო პარლამენტს ეგვიპტის პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეთა მრავალრიცხოვან დაპატიმრებათა შესახებ,რომელსაც ადგილი აქვს ამ ბოლო დროს ეგვიპტეში.

ეს დაპატიმრებანი არამც თუ არღვევენ ეგვიპტის კონსტიტუციას და პარლამენტის მოღვაწეთა ხელშეუხლებლობას, არამედ—ეგვიპტის არმიის შინაგან წესდებასაც.

გარდა უნივერსიტეტის პროფესორებისა და ეგვიპტის პარლამენტის 4 დეპუტატისა დაპატიმრებულნი არიან ეგვიპტის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი აზის ალი ფაშა, რომელიც ორჯერ იყო დატუსაღებული 14 ოფიცერთან ერთად, რომელთაც ეჭირათ უმაღლესი საკომანდო თანამდებობანი. მათ მიმართ წაყენებულია ბრალდება „საეჭვო მოქმედების“ შესახებ.

ალექსანდრიასა და ქაიროში გამოცხადებულია საალყო წესები. პოლიციის სამმართველო გადავიდა ინგლის-ამერიკის ჟანდარმერიის ხელში.

ჯამილ ელხი მოუწოდებს მოსახლეობას სიმშვიდისაკენ და ჰპირდება მათ რომ იგი მიიღებს ყოველგვარ ზომას შექმნილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.



დონეცთან. გერმანელთა მსუბუქი არტილერიის პოზიცია.

## იდენი ვაშინგტონში

ლონდონსა და ვაშინგტონში ერთ და იმავე დროს გამოქვეყნდა კომუნიკე ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის იდენის ვაშინგტონში ჩასვლის შესახებ. ამ მოგზაურობის მოულოდნელობა და მნიშვნელობა ხაზგასმითაა აღნიშნული მოკლე განცხადებაში, რომ „იდენის მოგზაურობის მიზანს შეადგენს ახალი კონფერენციების მოზადება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ომის შემდგომ წარმოებასთან.“

ვაშინგტონში აღნიშნავენ, რომ მასტერ იდენი ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოწვევით, რომელიც მოამზადებს პირობებს ღერძის სახელმწიფოების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრისათვის.

სახელმწიფო სეკრეტართან ხელლთან შეხვედრის შემდეგ იდენი მიიღო პრეზიდენტმა რუზველტმა.

ანკარიდან იტყობინებიან, რომ იდენი ცდილობს როგორმე მოახერხოს მოლაპარაკებას დასწროს ლიტვინოვი, ვინაიდან უკანასკნელი ახლო მომავალში დაბრუნდება სსრ კავშირში. ამასთანავე ერთად ლონდონში დადის ხმები იმის შესახებ, რომ მოლოტოვმა თხოვა ინგლისის მთავრობას სასურველია რუ არა მათთვის მისი ინგლისში ჩასვლა. ჩერჩილმა უარით უპასუხა იმ მოტივით, რომ მას ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას აწარმოოს ხანგრძლივი მოლაპარაკება, საგარეო საქმეთა მინისტრი კი ამჟამად ვაშინგტონში იმყოფება.

## გერმანელთა კონტრ-შეტევის შედეგი

გერმანიის კონტრ-შეტევის შედეგი აღმოსავლეთის ფრონტზე გრანდიოზულია. უმაღლესი სარდლობის 20 მარტის ცნობებით ხარკოვსა და ბელგოროდს შორის შეტევითი ბრძოლებისას **განადგურებულია საბჭოთა მე-6 და მე-10 არმიები. გერმანელებმა ალყა შემოარტყესა და მთლიანად გაანადგურეს მტრის 9 მსროლელი დივიზია,6მსროლელი ბრიგადა, 4 ცხენოსანი დივიზია, 10 მოტორიზებული და 25 სატანკო ბრიგადები, 2 სატანკო პოლკი და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადა.** გარდა ამისა გერმანიის არმიის ძლიერი საიერიშო ოპერაციისას უდიდესი ზარალი განიცადეს და დაჰკარგეს თავიანთი.საბრძოლო უნარიანობა საბჭოთა 20 დივიზიამ, 15 ბრიგადამ და ერთმა პოლკმა.

20 მარტამდე, წინასწარი ჯერ კიდევ დაუზუსტებელი ცნობების მიხედვით წითელი არმიის დანაკარგი შემდეგ სურათს იძლევა: **ბოლშევიკებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 50 ათასზე მეტი მკვდარი ჯარისკაცი, გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს 19.594 ტყვე, 3372 ქვემეხი, 1410 ტანკი, 3045 ცალი სხვა და სხვა სახის ფეხოსანი ჯარის მძიმე შეიარაღება, 1846 საბარგო ავტო-მანქანა.**

თუ რა ძლიერი იყო გერმანიის არმიის შეტევა ეს იქედანაც სჩანს, რომ მისი დაწყების პირველ დღეებიდანვე გერმანელთა სახმელეთო ძალებს ყოველდღიურად ეხმარებოდნენ ათასეული თვითმფრინავები. 20 მარტამდე გერმანიის თვითმფრინავების მიერ განადგურებულია მტრის 221 ტანკი, 227 ქვემეხი, ათასეულობით ავტო-მანქანა, სამხედრო ფურგონი, 219 საბჭოთა თვითმფრინავი. მარტოოდენ ბელგოროდის აღებისას განვითარებულ იერიშზე გერმანელებმა ვიწრო სივრცეზე შესძლეს ბრძოლაში ჩაებათ 354 ყუმბარმშენი. ამის გამო შესაძლებელი გახდა არა მარტო ბოლშევიკების წინააღმდეგობის განადგურება, არამედ მათი სარეზერვო და დამხმარე ნაწილების მოსპობა, რომელთაც ჯერ არ მოეღწიათ ფრონტის ხაზამდე.

ხარკოვის აღმოსავლეთით გერმანიის არმიის ნაწილებმა მიაღწიეს დონეცს. ბოლშევიკების ალყაშემორტყმული ჯარები აქ თითქმის მთლიანადაა განადგურებული. ბელგოროდი აღებული იქნა ძლიერი იერიშით 19 მარტს.

კურსკის რაიონში შეტევაზე გადასულმა გერმანელებმა სევსკის ჩრდილოეთით დაამყარეს კავშირი ორიოლის რაიონში მყოფ გერმანიის ჯარებთან: მიუხედავად მეტად არა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა: თოვლის ლღობა, ღამის ყინვა და ცვალებადი ამინდი, გერმანიის არმიამ ფრონტის ამ უბანზე ბრწყინვალედ შეასრულა ყველა საბრძოლო ამოცანა. ბოლშევიკების ცდა სასწრაფოდ გადმოსროლილი დამხმარე ნაწილებით შეეჩერებინათ გერმანელთა იერიში მარცხით დამთავრდა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოხალისეთა დივიზია „დიდი გერმანია.“ 7-19 მარტამდე ამ დივიზიამ მოსპო მტრის 241 ტანკი და ხელთ იგდო 319 ქვემეხი. უმაღლესი სარდლობის ცნობებში იხსენიება „ტანკთა გამანადგურებლები“ თვითმფრინავები, რომლებიც მომარაგებულნი არიან განსაკუთრებული ჯავშანმჭრელი არტილერიით და დაბალი სიმაღლიდან გადადიან შეტევაზე მტრის ტანკების წინააღმდეგ.

აღმოსავლეთის ფრონტის სხვა უბნებზე ბოლშევიკებმა აწარმოეს დაქსაქსული მოქმედებანი. სტაროე-რუსისა და ველხოვის მიმართულებით განვითარებულ ბოლშევიკურ შემოტევებს, მოჰყვა შეტევანი ლადოგის ტბასთან და ლენინგრადთან, მაგრამ ყველა ისინი უშედეგოდ დამთავრდნენ.

ვიაზმის რაიონში ბოლშევიკებმა აწარმოეს შედარებით მსხვილი საწინააღმდეგო ოპერაცია, სადაც ისინი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გერმანიის ჯარის გეგმაშეწონილ, წინასწარ განსაზღვრული გადაადგილებისათვის. გერმანელებმა დაიჭირეს რა ახალი ხელსაყრელი პოზიციები უკუაგდეს ბოლშევიკების შეტევა. ორი დღის განმავლობაში აქ ბოლშევიკებმა დაჰკარგეს 178 ტანკი.

**გერმანიის არმიის კონტრ-შეტევის შედეგი ყველასათვის ნათელია, მისი ბრწყინვალე წარმატება ადასტურებს გერმანიის სარდლობის ტაქტიკურ უძლეველობას. მას შემდეგ, რაც გერმანიის არმიამ განავითარა მძლავრი დარტყმა ფრონტის სამხრეთის ნაწილში, ბოლშევიკების შემოტევანი ფრონტის სხვა და სხვა უბნებზე შესუსტდნენ, ისინი ატარებენ დაქსაქსულ ხასიათს, მიმდინარეობენ საერთო სტრატეგიული მიზნის გარეშე და აყენებენ მას გამანადგურებელ ზარალს.**

## ქართვლის ქალი - ჩვენი გული

ვინც ბუნებით შემკულია,
სათნოებით ზრდილი,
შავი თვალი დანისვლია
წამწამების ჩრდილით,
შლილ ვარდივით ნაზი არის,
მაგრამ გული რკინა,
სიამაყე ჩამოუგავს
კავკასიის მყინვარს!..
ვინც თოვლივით სპეტაკია,
ტანადი და ლალი,
სახით ათასფერადია, —
სილამაზის ბალი,
ხელზე შემოხვეული აქვს
შავი თმების კონა,
სითამამეს ჩვეულია,
ბრწყინვალების წონა!..
ვინც სუფრაზე მოგიჯდება,
ერთობა და გართობს,
შემოგხედავს, დაგიდნება
და თვითონვე გადნობს,
მაგრამ შორით დაგიდგება,
არ გიკარებს მდევნელს,
გადაჭკეტავს თავის გულის
ფარულ საბრძანებელს
ვისაც სიკოხტავე უყვარს,
დინჯია და გამრჯე,
თავის ქვეყნის ქარით სუნთქავს,
მკლავები აქვს მარჯვე,
ქართულ მიწას ჩაკრულია
მშობლიური გრძნობით,
გული არამზაკვრულია —
ერთგულობის მდომი!..
ვინც საშინელ ყოფის დარში
მამულს შვილი მისცა
და მთლად აღარ დაამბლა
საქართველოს მიწა,
ვინც სხვა მებრძოლ ვაჟკაცებთან
ხმლით გავიდა ველზე,
მტერი ჰკვეთა საზიზღარი,
უჭრელესი გველზე;
ვინც სიმხნევე არ დაჰკარგა
უსაშინლეს ქარში,
მზე-ჭაბუკებს გაეჯიბრა
ბრძოლის ველზე ხმალში,
ვინც გასწირა ქმარი, შვილი
ამომავალ მზისთვის:
სიყვარულის გულისათვის,
საქართველოს ხსნისთვის,
— ეს ქართველი ქალი მინდა
ვადღეგრძელო ლექსში,
ვადღეგრძელო ლექსი,
მისი სულის სიდიადე
გამოვფინო მზეში,
თასი მაღლა ავწიო და
ასე უთხრა ყველას:
ქართვლის ქალი — ჩვენი გული,
სიცოცხლე და ლხენა!..

ლეგ. ვ. ურდოელი.

## საქართველოა ჩემი მზე

საქართველოა გენია!
მის ზურმუხტ მხარეს შევნატრი
და ფიქრში გადის დღენია!..
რა ვქნა მაშ რაზე ვიფიქრო?
მასზე სულ ფიქრი ძნელია
მზე დამეკარგა ცხოვრების,
რომლის მონახვაც ძნელია!..
ბუნების ძალავ შენა გთხოვ
ნუ მომკლავ ესრეთ დღეშია,
ერთხელაც მაინც ჩამიგდე
სამშობლოს მტერი ხელშია!..
დაე, იქ მოვკვდე, შენს მკერდზე,
განცალკევება ძნელია,
სხვის სამშობლოში სიკვდილი,
ქართველ კაცს არა სჩვევია!..
მაშ ქართველებო აღსდექით,
გავანადგუროთ მტერია,
ან მოვსპოთ, ანდა შევაკვდეთ,
მივსცეთ ერთმანეთს ხელია!..

ლეგ. ლ. დ.



ქვემეხი — ცეცხლის ხაზისაკენ

# დავეუფლოთ სამხედრო საქმეს

## როგორ გავზომოთ მდინარის სიგანე?



ვთქვათ ჩვენ მივადექით მდინარეს, რომლის სიგანის განსაზღვრა აუცილებელია. აღვნიშნავთ, რომ ხელთ არა გვაქვს არავითარი ხელსაწყო. ამისათვის საჭიროა მოვიქცეთ შემდეგნაირად: აღვნიშნოთ რომელიმე წარტილი „ა“ მდინარის მეორე ნაპირზე (იხ. სურათი) და მის გასწვრივ „ბ“ და „კ“ წერტილებზე დავასოთ სარები ისე, რომ მივიღოთ სწორი ხაზი „ა,ბ,კ“ წერტილებიდან „ბ“ და „ა“ გადავზომავთ მარჯვნივ 100 ნაბიჯს და მივიღებთ წერტილებს „დ“ და „ლ“-ს, რომელთაც შევაერთებთ სწორი ხაზით.

ხაზი „ბდ“ გავყოთ შუაზე და აღვნიშნოთ გაყოფის წერტილი ასოთი „ც“. წერტილები „ა“ და „ც“ შევაერთებთ სწორი ხაზით და განვაგრძოთ ხაზის „დლ“-ის გადაკვეთამდე, გადაკვეთის წერტილი აღვნიშნოთ ასოთი „ე“.

ამგვარად ჩვენ მივიღეთ ორი თანასწორი სამკუთხედი, რომელთა ერთი კატეტი და მასთან მდებარე ორი კუთხე თანასწორია. გავზომოთ ნაბიჯით კატეტი „დე“ და მიღებული ნაბიჯების რაოდენობა იქნება მდინარის სიგანე.

### შეამოწმე შენი სამხედრო ცოდნა

მეცადინეობაზე შესვენებისას და თავისუფალ დროს გადახედეთ ამ ამოცანებს, შეამოწმეთ თქვენი სამხედრო ცოდნა. ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში მოთავსებული იქნება ახსნა-განმარტება თვითეულ კითხვაზე, შეადარეთ იგი თქვენს პასუხს.

1. რა არის უმცირესი კორა?
2. რა არის ტყვიის დაწყებითი სიჩქარე და რას უდრის მისი სიდიდე?
3. გასროლილი ტყვიის მიერ განვლილი მანძილი როდის უფრო მეტია,— სიცხეში თუ სიცივეში?
4. თოფის ნიშანი გადაიწია მარჯვნივ,—საით იქნება მოხვედრა?
5. რა არის „დერევაცია“?
6. რა საშუალებით გავამტკიცებთ ხელის ტყვიამფრქვევის საკეტის ლაყუჩები, რათა საკეტს საშუალება მიეცეს დაიწიოს უკანა მდგომარეობაში?

## ტაქტიკური ამოცანის № 3 ახსნა

გათვლის მეთაურმა შეაფასა რა მდგომარეობა, უბრძანა 1 და 2 ნომრებს გადაეტანათ ტყვიამფრქვევი ახალ პოზიციაზე ჩრდილო დაქანებაზე სიმაღლე 82,5-ის ცალკეულ ბუჩქებთან ამოცანით. გაუხსნან ცეცხლი მტრის კოლონას. (1 და 2 ნომრები ხოხვით გააგორებენ ტყვიამფრქვევს ღელეში, ამოეფარებიან სიმაღლეს და დადგამენ მას ტყის ბუჩქებთან).

გათვლის მეთაური ამის შემდეგ სტოვებს მეთვალყურეს ძველ პოზიციაზე შემდეგი ამოცანით: აწარმოოს სამეთვალყურეო სამსახური მოცემული სექტორის ფარგლებში. გათვლის მეთაური დანარჩენ მებრძოლებთან ერთად ფარულად გადადის ახალ პოზიციაზე და ადგენს მორიგ საბრძოლო დასმენას, რომელსაც კავშირის საშუალებით აგზავნის ზურგში.

### კითხვების ახსნა:

1. სამარჯვი უნდა გადაიწიოს ერთი დაყოფით მარცხნივ.
2. მეათასედი დაყოფა არის კუთხის შეცვლა (ბუსოლზე, კუთხსაზომზე, მანძილმზომზე, ბინოკლზე, სანიშნეზე და სხვა ა. შ.), რომლის შედეგადაც დამიზნების დროს 1000 მეტრზე ვღებულობთ განდგომას, რომელიც უდრის 1 მეტრს.
3. ტრაექტორიის სიმაღლე შეიძლება განვსაზღვროთ მხოლოდ ტაბულით (სასროლო სახაზავი).
4. სიღრმეში ცეცხლის გადატანა ან არ მიტანა არ განისაზღვრება მეტრებით, არამედ იზომება მეათასედი კუთხით და გადაიტანება კორის რგოლზე.
5. გასროლილი ყუმბარა რამდენიმე ხანს იქნება ჰაერში. როგორც ვიცით დედამიწა ტრიალებს თავისი ღერძის გარშემო, ამიტომ ამ დროის განმავლობაში მიწა შეტრიალდება და ცხადია ყუმბარა უნდა ჩამოვარდეს დასავლეთით.

## ბოლშევიკების პროვოკაცია

ბოლშევიზმის მონობის უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლამ ფართო მასშტაბს მიაღწია, იწყება ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობანი, რომლებიც მიმართულნი არიან სტალინისა და მისი დამქაშების რეჟიმის წინააღმდეგ. კრემლის სატრაპებმა ეს კარგად იციან. მათ იციან ისიც, რომ მალე დადგება ჟამი, როცა ბოლშევიზმი აღიგვება დედამიწის პირისაგან. ისინი ელოდებიან განკითხვის დღეს. ამიტომაა, რომ გააფრთებული ბოლშევიკები ყოველგვარ ღონეს ხმარობენ შეინარჩუნონ თავიანთი სისხლიანი ხელისუფლება. როგორც ქართველები, ისე უკრაინელები, ბელორუსები, ყირიმელი თათრები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ერები დარაზმულნი არიან თავიანთ ეროვნული დროშის ქვეშ ბოლშევიზმის უღლისაგან გასანთავისუფლებლად.

ბოლშევიკები ერთად-ერთ იმედს ამყარებდნენ ზამთარზე,მაგრამ როგორც ვიცით „ბოლშევიკური ზამთრის“ კამპანია მათი მწვავე მარცხით დამთავრდა. ამიტომ მათ ახლა მიმართეს ახალ ხერხს, ეს არის მორიგი პროვოკაცია; მათ სურთ შექმნან გაუგებრობა და ერთგვარი უნდობლობის ატმოსფერა გერმანელებსა და გამანთავისუფლებელ - მოხალისე ლეგიონერებს შორის.

ბოლშევიკები ხვრეტენ ტყვედ ჩავარდნილ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ჩვენ მთელი რიგი ფაქტები მოგვეპოვება ამის დამადასტურებლად. აი რას სწერს ერთ-ერთი გერმანელი ეფრეიტორი: „1943 წლის 29 იანვარს მე ჩავარდი ტყვედ სხვა ჩემს ამხანაგებთან ერთად, ვიყავით 200-300 კაცამდე; ბოლშევიკებმა ჩამოგვართვეს თუ რამე ძვირფასი ნივთები გაგვაჩნდა: ხელის ბეჭდები, საათები და სხვ. რის შემდეგ დაგვამწყვდიეს თავლაში. რამოდენიმე წუთის შემდეგ გაიღო კარი და გუშაგმა გვიბრძანა გარედ გამოსვლა. დაგვაწყვეს და წაგვიყვანეს ხევში. მოვიდა 20 წითელარმიელი, შეიარაღებულნი ავტომატებითა და ტყვიამფრქვევით, ჩამწკრივდნენ 50 ნაბიჯის მოშორებით. გვიბრძანეს ზურგისაკენ მობრუნება და ამავე დროს გაგვიხსნეს ცეცხლი. ტყვეები გაიქცნენ. რუსებმა დაგვიწყეს გაძლიერებული სროლა, მაგრამ მაინც შევსძელით გავქცეულიყავით.“

უიარაღო ადამიანების დახვრეტა არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, იგი საერთაშორისო კანონით აკრძალულია, მაგრამ ბოლშევიკები როდი ემორჩილებიან საერთაშორისო ნორმებს.

ბოლშევიკებს ჰგონიათ, რომ მათი ეს მხეცური მოქმედებანი გამოიწვევენ გერმანელთა მხრივ საპასუხო რეპრესიებს საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და მოსახლეობის მიმართ. ბოლშევიკებს ამით უნდათ ჩაშალონ ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ამჟამად არის აზვირთებული. ბოლშევიკების ეს მორიგი პროვოკაცია ამაოდ ჩაივლის. ისინი ვერ შეაჩერებენ იმ მოძრაობას და ბრძოლას, რომელიც მიმართულია ხალხის გასანთავისუფლებლად ბოლშევიზმის მონობისაგან.



ტუნისი. მესანგრეები ლეგულობენ საბრძოლო საჭურველს.

## საბჭოთა გემების დაღუპვა

დომეის სააგენტო იტყობინება, რომ საბჭოთა ტრანსპორტი „კოლა“ ჩაძირული იქნა ამერიკის წყალქვეშა ნავის მიერ ამანი-ოშიმის კუნძულის რაიონში. ეკიპაჟიდან დარჩენილი 4 კაცი გადარჩენილი იქნა იაპონიის სამხედრო ხომალდის მიერ 5 მარტს. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ ინცინდენტის შესახებ აცნობა ტოკიოში საბჭოთა საელჩოს. ეს არის უკვე მეორე შემთხვევა საბჭოთა გემის ჩაძირვისა ამერიკის წყალქვეშა ნავის მიერ. პირველი შემთხვევა მოხდა 1942 წელს 1 ივლისს, როცა ამერიკის წყალქვეშა ნავის მიერ ჩინეთის ზღვაში დაღუპული იქნა საბჭოთა სავაჭრო გემი „ანგარსტროი.“ 127 კაცი გადარჩენილი იქნა იაპონიის სამხედრო გემის მიერ.

## განადგურებულია ბოლშევიკების ჯარის ნაწილები

გასტეხეს რა მტრის წინააღმდეგობა ხუთშაბათს, 25 მარტს, გერმანელებმა გასწმინდეს ხარკოვის აღმოსავლეთით მდებარე ტყეების ადგილები ბოლშევიკებისაგან. მტერმა უდიდესი განადგურება და ზარალი ნახა.

კურსკიდან ჩრდილო-დასავლეთით ერთ-ერთ ხიდთან ბოლშევიკების იერიშისას, რომელიც დიდი ზარალით იქნა მოგერიებული, გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ ურიცხვი ტყვე და სამხედრო დავლა. ფრონტის ერთ-ერთ უბანში ბოლშევიკებმა ტანკების დახმარებით შესძლეს ერთი დაბის დაჭერა, მაგრამ გერმანელებმა მყისვე განავითარეს კონტრ-შეტევა, შეიჭრნენ დაბაში და გასწმინდეს იგი მტრისაგან. დაბაში გამართული ბრძოლის დროს ბოლშევიკებმა დაჰკარგეს 5 ტანკი.

### იზიუმის ჩრდილო-დასავლეთით

იზიუმის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელმა გრენადერებმა, რომელთაც ეხმარებოდათ თავიანთი დივიზიის მძიმე ქვემეხები, გაარღვიეს ბოლშევიკების მაგრად ამოშენებული პოზიციების სისტემა ზემო დონეცის ერთ-ერთ მუხლში. ხელჩართული ბრძოლით მან აიღეს სიმაგრე მდებარე გორაკზე და გაარღვიეს **მტრის რამდენიმე პოზიცია.**

## მძარცველნი

წითელი არმია განიცდის სურსათის დიდ ნაკლებობას. მთელ რიგ შენაერთებში მძვინვარებს სიმშილი. მომარაგების საქმის არა ნორმალურობა და პროდუქტების სიმცირე აიძულებთ წითელ არმიელთ მიმართონ მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას. წითელ-არმიელები და მეთაურები არ კმაყოფილდებიან ოფიცალურად გამოცხადებული სურსათის რეკვიზიციით, ისინი იყენებენ რაიარაღს არბევენ გლეხების ოჯახებს.

ამ გარემოებას ნათლად ადასტურებს გერმანელთა მიერ ხელში ჩაგდებული საიდუმლო ბრძანება 258 მსროლელი საბჭოთა დივიზიისადმი. ბრძანებაში ნათქვამია: „უკანასკნელ ხანებში გახშირდნენ მოსახლეობის თვითნებურად ძარცვის შემთხვევები დივიზიის სამხედრო მსახურთა მხრივ. 23 თებერვალს 1943 წელს 405 მსროლელი პოლკის ბატალიონის მზარეულმა ბორისენკომ და ამავე ბატალიონის წითელარმიელმა ნაფედოვმა 21 საათზე, გასტეხეს ხუტორ ნოვო-მაქსიმოვსკის ერთერთი მოქალაქის ბინის ბოქლომი, მოიპარეს ორი ბატი, კონებით ხახვი, ძველი საბანი და ფეხსაცმელი.

23 თებერვალს უფროს სერჟანტმა რასპოპინმა (405 მ'როლელი პოლკი) მიატოვა საცეცხლო პოზიცია და წავიდა ხუტორ ნოვო-მაქსიმოვკაში. აქაურ მცხოვრებთაგან მან მოიტაცა ერთი ტომარა ფქვილი. 24 თებერვალს საშტაბო ბატარეის წითელარმიელებმა კარდიშევმა და ჩაშჩინმა წაართვეს ძროხა გლეხქალს მცხოვრებს ნოვო-მაქსიმოვკაში. ღამით 25 თებერვალს ნოვო-მაქსიმოვკაში დაპატიმრებულნი იქნენ ასეულის ზემდეგი 991 მსროლელი პოლკისა ა. გ. სიჩევი და პოლკის უფროსის შიკრიკი მანოშვილი, რომელნიც თავიანთ თავს აღიარებდნენ პირველი ლეიტენანტად, მეორე კაპიტნად, აწარმოებდნენ გლეხების ოჯახების ჩხრეკას. მათ მოტყუებით წაართვეს გლეხ-ქალებს მაჯის 2 საათი.“

ამ უმსგავსობისა და ძარცვა-გლეჯისათვის დამნაშავენი უნდა დასჯილიყვნენ სასტიკი სასჯელით, მაგრამ 258 დივიზიის უფროსი, რომელიც ხელს აწერს ამ ბრძანებას ასე აყალიბებს „სასჯელს“. „ყველა ზემოდ მოყვანილი ფაქტები წარმოდგენენ თვითნებობის პირდაპირ მაგალითებს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაში იწვევენ უკმაყოფილებას. ამის გამო ვბრძანებ: 405 მსროლელ პოლკის უფროსმა თავისი უფლებით დასდოს სასჯელი წითელარმიელ ბორისენკოს და უფროს სერჟანტს რასპოპინს. დივიზიის არტილერიის უფროსმა დასდოს სასჯელი საშტაბო ბატარეის წითელარმიელებს კარდიშევსა და ჩაშჩინს.“

პოლკოვნიკი ფურსინი თავის ბრძანებაში აგრეთვე სწერდა და აფრთხილებდა მეთაურებსა და წითელარმიელებს, რომ მოსახლეობაში სურსათის რეკვიზიცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ მისი ნებართვით. ეს ფაქტები ნათლად ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ წითელი არმია წარმოადგენს მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის საქმის ორგანიზატორს.



გერმანიის არმიის ფეხოსნები სანგრებში ილმენის ტბასთან

## საბჭოთა ოჯახი და სკოლა

ყველა კულტურულს და პროგრესიულად დაწინაურებულ ერს აქვს კარგად მოწყობილი ოჯახური ყოფაცხოვრება, დამყარებული ეროვნულს ნიადაგზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის წესიერ აღზრდაში. ბავშვის გონებრივსა და ზნეობრივს აღზრდაზე მთავარ გავლენას ახდენს ოჯახი, სადაც იგი დაიბადა და იზრდება, აქედან ოჯახურ ცხოვრებას გავლენა აქვს ადამიანზე მთელს მის სიცოცხლეში, გვასწავლის პედაგოგიური მეცნიერება. ოჯახი, ძირითადი უჯრედია საზოგადოებისა და სახელმწიფოს წესიერი ორგანიზაციის შესაქმნელად. ამიტომ ოჯახის მოწყობას მთელი ყურადღება ექცევა მთელ რიგ ევროპიულ ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, იტალიაში და სხვ. ოჯახი დამყარებული უნდა იყოს სიყვარულზე, მისთვის თავდაპირველ საჭიროებას სიყვარული შეადგენს. ამისათვის, ოჯახისათვის აუცილებელია ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული, გამოწვეული არა ძალადობით, არა ვალდებულებით, არამედ ნებაყოფლობით. ქორწინების ბედნიერება სწორედ ამაში გამოიხატება. ცოლ-ქმარს შორის ჭეშმარიტი სიყვარული ჰქმნის ბავშვებისათვის ტკბილ ოჯახურს ატმოსფეროს. ბავშვი ხედავს მამისა და დედის ურთიერთ მზრუნველობას, ორივესი ზრუნვა კი შვილებისადმი არის საწინდარი ბავშვის წესიერი აღზრდისა.

ბავშვში პატარაობიდანვე ვითარდება ის აზრი, რომ ბედნიერება ცხოვრებაში გამოიხატება სხვისი გაბედნიერებით.

როდესაც ვწერთ აღზრდაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ადამიანის განვითარების სამი პირობები: ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა. **რითაც შეიქმნება ნამდვილი ნორმალური ადამიანი, რომელიც გამოადგება საზოგადოებას.** ამგვარად ბავშვის დაბადების დღიდან მშობლები (ოჯახი) არიან მათი პირველი აღმზრდელები, სკოლა ამ შემთხვევაში მოწოდებულია განავითაროს და დააგვირგვინოს ოჯახის მიერ დაწყებული საქმე ბავშვების აღზრდისა. ერთ-ერთ ცნობილი პედაგოგი შემდეგნაირად განმარტავს ოჯახის (მშობლების) როლს: **„...მშობლები არიან თავიანთი შვილების აღმზრდელები, ისინი ჰყრიან პირველს თესლს მომავალი აღზრდის წარმატებისა, თუ წარუმატებლობისა.“** სიყვარულისა და სისპეტაკის ამ აუცილებლობას მოკლებულია საბჭოთა ოჯახი. იგი არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, ეს ზნეობრივი ვალდებულება ოჯახისა მას დავიწყებული აქვს, ამიტომ პირველ შეხედვისთანავე, ვისაც კი საქმე ჰქონია საბჭოთა სკოლის მოსწავლესთან, იგრძნობთ ოჯახის მრუდე აღზრდის ნაყოფს. საბჭოთა მოწაფე სკოლაში უხეშია, რაც ხულიგნობაში გადადის, ის ნერვიულობს, უზრდელია, არ იჩენს პატივისცემას მასწავლებლებისადმი, წესრიგს არღვევს ქუჩაში, საზოგადოებრივ გასართობ ადგილებში(თეატრი, კინო, სტადიონი, დასვენების პარკი).

საბჭოთა ოჯახი არ არის აგებული ცოლ-ქმრულ სიყვარულზე, იგი არ წარმოადგენს მთლიან ორგანიზმს, არამედ დაყოფილია და დაქუცმაცებული. ცოლ-ქმრული სიყვარული—ეს ძირითადი კანონი ოჯახის სიმტკიცისა, საბჭოთა კავშირში შერყეულია. რადგან ქმარი ცოლს ატყუებს, ცოლი კიდევ ქმარს, საბჭოთა პასუხისმგებელ მუშაკების უმრავლესობას რატომღაც თავის „სავალდებულო“ მოვალეობად მიაჩნიათ ყავდეთ რამოდენიმე ცოლი სხვა და სხვა რაიონში. ამის გამოა, რომ საბჭოთა ოჯახი რღვევას განიცდის და გამანადგურებელ გავლენას ახდენს ბავშვის სათუთ გონებაზე.

ცოლ-ქმრული უსიამოვნებას ოჯახში ადგილი აქვს აგრეთვე წმინდა ეკონომიურ ნიადაგზედ. საბჭოთა კავშირში საშუალო ინტელიგენტის მცირე ხელფასი, მისი შეუსაბამობა საბაზრო კერძო ფასებთან, რადგან სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები უძლურნი არიან დააკმაყოფილონ მოსახლეობის კვებითი მოთხოვნილება მტკიცე ფასებით; აუარებელი გადასახადები, სესხი, კულტურული გამოსაღები, დაზღვევა, მთელი რიგი ეგრედწოდებული ნებაყოფლობითი საზოგადოებათა უჯრედებისა, რომლებიც მოითხოვენ სავალდებულო წევრობას, საწევრო გადასახადის შეტანით, სოფლად აუტანელი ნივთიერი სავიწროვე კოლმეურნე გლეხისა, შემდეგ ნივთიერი პირობების გამო ცოლისა და ქმრის გარე სამუშაოზე გასვლა, რაც არ აძლევს საშუალებას მშობლებს ხელმძღვანელობა და აღზრდა გაუწიონ შვილებს, ბავშვებს აკლიათ მშობლიური ზრუნვა, სითბო და ალერსი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და ცაკის ორგანო „კომუნისტის“ ფურცლები სავსე იყო ასეთი შინაარსის წერილებით: **„სადა ხარ გულქვა მამავ! დაგეძებ ხუთი წელიწადია და ვერ გპოულობ; ჩემი პატარა და გამუდმებით ავადმყოფობს, დედას ჩვენი გამოკვება უძნელდება. განვიცდით სიმშილს, შენ კი ამ დროს ალბად დახეირნობ და ერთობი შენს ახალ ოჯახთან. მე სკოლიდან გამოვედი, რადგან ასეთ პირობებში სწავლა აბა სად შემიძლიან.“** ასეთი შემთხვევები მრავლად იყო, მას საგანგებო გვერდიც ჰქონდა დათმობილი, იგი იწერებოდა პატარა ფილიტონების სახით, სარკასტული ტონით, ფელეტონისტ გერმან შუბიძის მიერ.

რა თქმა უნდა ასეთი არა ჯანსაღი ოჯახებია ის წყარო, საიდანაც ვღებულობთ ზნეობრივად გადაგვარებულ ბავშვებს. მეორე ფაქტორი, რომელიც სათანადო გავლენას ახდენს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე არის სკოლა. **ოჯახი და სკოლა ეს არის ორი უმთავრესი ფაქტორი, ჯანსაღი ოჯახისა და სკოლის წინააღმდეგ ქუჩა თავისი უარყოფითი გავლენით ყოველთვის უძლური იქნება. სკოლისა და ოჯახის მტკიცე ურთიერთ კავშირი საწინდარია ბავშვის გონებრივი აღზრდისა.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ლეგ. ი. კოლხელი

# ფიქრი უცხოეთში

არც კი გამოგეთხოვე უსიტყვოდ წამოველი,
თუმცა ჩემი ოცნება მაინც შენსკენ მოჰქროდა
რა ლამაზი ყოფილა შენი სიტყვა ყოველი,
გავიხსენე და გული ზღვაურად ამიტოკდა!..
წარმომიდგა წუთები შემოსილი ნათელით,
როცა თითონ უკუნი ჩვენთვის ღამით მზეობდა,
ურთიერთის გრძნობებში დავძვრებოდით სანთელით,
და ეს ჩვენი ტრფიალი ლხინობდა და დღეობდა!..
თვალწინ მიდგას ის ბაღი მტკვრის ნაპირას მდებარე,
შუქნარევი ხეები თეთრი ელნათურებით,
ო, როგორ გვახარებდა ეს ადგილი ეს არე,
სადაც გიძღვენ ლექსები ნაირ-სათაურებით!..
გამახსენდა ის სკამი მყუდრო დასასვენარი
სადაც ნაირ მოთხრობებს მაყოლებდი ლხენითა,
არ მაცლიდი ბოლომდე, იყავ მოუსვენარი
საოცრებას იქმოდი გამოუთქმელს ენითა!..
ასე გაჰქრენ დღეები მოუწყენლად და ჩქარა,
დაგვაშორეს ერთმანეთს უმსგავსოდ და უმიზნოდ,
დღეს უშენოდ, დროებით სევდა გადამეყარა
და მსურს ტყვია იუდებს შიგ გულში დაუმიზნო!..
ჩემი რისხვა იქნება იმათკენ მიმართული
და დაღუპვის წუთშიც კი სიკვდილს ჩავთვლი არადა,
თუ შეგრჩება სინდისი და ეგ გვარი ქართული,
თუ იქნები ბოლომდე სულის გასახარადა!..

ლეგ. ქ. დ.



ახალი პოზიცია მტრის განადგურებულ ტანკთან.

## რეფერატები ლეგიონში

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ლეგიონში ფართო გასაქანი აქვს. მიმდინარე წლის 13-15 მარტის განმავლობაში გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ინიციატივით ლეგიონში ჩატარდა მეტად მნიშვნელოვანი მოხსენებები და საუბრები. ლეგიონერმა ოცმეთაურმა ი. კ-მ ოფიცერთა შეკრებაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქრისტიანიზმი საქართველოში". მომხსენებელი ვრცლად შეეხო ქრისტიანობის უდიდეს ისტორიულ როლს ჩვენი ერის ცხოვრებაში, ქართველი ხალხის ნაციონალური შეგნების ამაღლების საქმეში, მოიყვანა შესანიშნავი მაგალითები ქრისტიანიზმისათვის თავდადებისა და სიყვარულისათვის გმირულ ბრძოლიდან.

15 მარტს ლეგიონის კულტურის ოთახის დარბაზში ჩატარდა ბატალიონის შეკრება. იგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა გაზეთ „საქართველოს" პასუხისმგებელმა რედაქტორმა ასეულის მეთაურმა გ. მადაურიძემ. რეფერატი თემაზე „რუსეთი და საქართველო" წაიკითხა ლეგ. კ-მ. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებში. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ქართველი ხალხის ბრძოლას რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, მსმენელთ უამბო ქართველი გლეხკაცობის აჯანყებებზე რუსეთის წინააღმდეგ, მოაგონა აუდიტორიას ქართველი ხალხის ბრძოლები 1922-1924 წლებში ეროვნული განთავისუფლებისათვის ბოლშევიზმის მძიმე უღლისაგან.

დასასრულს ბატალიონის ოფიცრებისა და ჯარისკაცების სახელით სიტყვით გამოვიდა ასეულის მეთაური ბ-ძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა მომხსენებელს.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ქართულ ლეგიონში კიდევ უფრო უნდა გავშალოთ. ეს შეუწყობს ხელს თვითეულ ლეგიონერში მებრძოლი პატრიოტული გრძნობის გაღვიძებას.

ლეგ. ი. ნ.

## საღამო გერმანელ ჯარისკაცებთან

ჩვენს ლეგიონში ისვენებენ სამთო ბატალიონის გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც იბრძოდნენ კავკასიის ფრონტზე. ლეგიონერებმა მათთვის მოაწყეს ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების საღამო. ლეგიონის კლუბი მებრძოლებით იყო გაჭედილი, სცენა მორთოთ გერმანული და ქართული ნაციონალური დროშებით. ქართველ ლეგიონერთა გუნდმა წარმტაცად შეასრულა საყვარელი ქართული სიმღერები. გერმანელ მებრძოლებს განსაკუთრებით მოეწონათ ქართველი ლეგიონერების მალი და ვაჟკაცური ცეკვები.

ლეგიონერები მიმზიდველად ასრულებდნენ ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხის ნაციონალურ ცეკვებს: მოხევურს, ქისტურს, აფხაზურს, ოსურს და სხვ.

გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ გუნდის მიერ შესრულებულ სიმღერა „სულიკოს". ეს საღამო დაუვიწყარია თვითეული გერმანელი და ქართველი ჯარისკაცისათვის. მებრძოლი მეგობრები სტკბებოდნენ ქართველი ხალხის ნაციონალური სიმღერებითა და ცეკვებით.

ლეგ. ათმეთაური პ. ნ.



ბრძოლის წინ

# დავიწყებული და გამოჩენილი

## მამია გურიელი

მამია გურიელი დაიბადა 1836 წლის 12 იანვარს სოფელ ლესაში. გურიელთა გვარი ერთერთ უძველესი გვართაგანია საქართველოში. ეს გვარი იხსენიება რუსუდან დედოფლის დროს, ამ გვარმა მისცა მამულს კახაბერი. გურიელთა შესახებ ცნობებს იძლევა ბატონიშვილი ვახუშტიც თავის საქართველოს გეოგრაფიაში.

მამიას მამა დავით ვახტანგისძე გურიელი იყო შვილის შვილი გურიის მთავრის გიორგი მე-5-ისა. 1828 წელს, როცა სამეგრელოს მთავარი—ქალისოფიო წულუკიძე თურქეთში გადავიდა, მამია გურიელის მამა სხვა თავადნი და აზნაურნი მას გაჰყვნენ იმ იმედით, რომ ხონთქარი დასძლევდა რუსეთის იმპერატორს. გადახვეწილთა საუბედუროდ თურქეთმა ომი წააგო, ქალმთავარმა სოფიომ 1829 წელს უცხოეთის ცას ქვეშ დახუჭა თვალები და მამულის განთავისუფლების კეთილშობილი გრძნობა სამუდამო განსასვენებელს მიაბარა. გურიის ემიგრანტების ცხოვრება საშინელი გახდა, მათ დაჰკარგეს თავიანთი მფარველი. ისინი თურქეთის სხვა და სხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ წვითა და დაგვით; განიცდიდნენ სიმშილს, შევიწროებას. დავით გურიელმა რამდენჯერმე მიმართა ხონთქარს როგორც მთავრის ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა. 1832 წელს იმპერატორის ამნისტიით ემიგრანტ გურულებს საშუალება მიეცათ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. დავით გურიელი კვლავ აღადგენს მთავრის დიდებას, მისი სასახლის ბრწყინვალებას გურიაში. პოეტის ბიოგრაფის იონა მეუნარგიას მასალებით მამიას მამა ყოფილა თავმდაბალი, კეთილი ზნეობის მქონე ადამიანი, გამოჩენილ ვაჟკაცი, კარგი ცხენოსანი და მსროლელი. ამასთან ერთად დავით გურიელი ყოფილა საუკეთესო მწიგნობარი და ჰყვარებია ჭიანური, ჩონგური, ქნარი და სხვა ქართული ხალხური საკრავები.

პოეტის დედა ეკატერინე დიდი მთავრის ნიკოდადიანის ქალია. ეკატერინეც თავის დროზე ფრიად კეთილგონიერი ქალი იყო და უყვარდა წიგნი. იგი აღფრთოვანებით შეხვდა ქუთაისელ ქალების ინიციატივას ქართული ბიბლიოთეკის გამოცემის შესახებ და მის ერთერთ მეთაურ ქალს მადლობის წერილიც კი მისწერა.

მამია აღსაზრდელად აიყვანა ბებიამ. მისი გამდელი იყო აგრეთვე კახელი ქალი ჯანვერდი. ანბანის შესწავლა პოეტს 7 წლისას დააწყებინეს, მისი პირველი მასწავლებელი იყო მოძღვარი გიგნეიშვილი, რომელიც კარის ეკლესიაში სწირავდა. 15 წლამდის მამია სკოლაში არ შეუყვანიათ. იგი აკვირდებოდა სასახლის ცხოვრებას. პოეტი გადმოგვცემს რომ მამის სასახლის ირგვლივ მაშინ შემოკრებილი იყო გურიის ჩინებული საზოგადოება. აქ იყო შესანიშნავი მომღერალი და მეჩონგურე დათაგუგუნაია, სხარტულისიტყვის პატრონი, სამანდალო ჭყონია, აქ გაისმოდა ნაზი და მომხიბლველი სიმღერები, იმართებოდა ნადიმი, აზნაურები გამართავდნენ ხორუმის ცეკვას, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსებში. მონადიმე აზნაურები ერთმანეთს ესვროდნენ მოსწრებულ სიტყვებს, იმეორებდნენ რუსთაველის აფორიზმებს, მოჰყვებოდნენ საბა ორბელიანის არაკებს. ცხადია სასახლის ეს ატმოსფერა მგზნობარე მამიაშიც გააღვიძებდა ლექსისადმი ტრფობის გრძნობას და 7 წლის მგოსანი იწყებს ლექსების გამოთქმას.

როგორც ი. მეუნარგია გადმოგვცემს მამია გურიელს მალე დაუმსახურებია სახელი სასახლეში. ბიოგრაფის ცნობებით როცა სასახლეში აზნაურები გაიყოფოდნენ და ლექსებით შეჯიბრს გააცხოველებდნენ ორივე მხარე ცდილობდა მამია თავისაკენ გადაეძლია. „მე რომ ბედი მქონებოდა კოია მერქმეოდაო" — ანდაზად რომ დარჩენილა ქართველ ხალხში ეს პირველად მამია გურიელს უთქვამს ლექსებით პაექრობისას აზნაურთა შორის.

მამიამ ოზურგეთში პოლკოვნიკის ოჯახში შეისწავლა რუსული ენა. 1851 წელს გაიხსნა რა ქუთაისში გიმნაზია იგი შეიყვანეს მშობლებმა, მაგრამ მამიამ სკოლაში მხოლოდ სამ კლასამდე დაჰყო, შემდეგ ის გაჰყავთ სკოლიდან და ამზადებენ სამხედრო სკოლისათვის. მამია გურიელი მიდის თბილისში, მის გადაწყვეტილებას სავსებით სცვლის ერთი საბედისწერო მოვლენა. 1853 წლის ნოემბერში ვორონცოვს მოუვიდა მეფის ბრძანება, რუსეთმა გამოუცხადა თურქეთს ომი. მამია განწესებული იქნა გრენადერების პოლკში უნტერ-ოფიცრად. იგი მონაწილეობას იღებდა ბაშკადიკლარის ბრძოლაში, სადაც თავადმა ვასილ ბებუთოვმა 9 ათასი კაცით დაამარცხა თურქთა 37 ათასი ჯარისკაცი და ხელთ იგდო 24 ზარბაზანი.

მამია მონაწილეობდა კიურუკ-დაბას ბრძოლაშიც. შემდეგ იგი ყარსის გარშემო დაბანაკებულ ჯარშია, 17 სექტემბერს 1856 წელს ყარსის ციხეზე შეტევისას მამია გურიელი დაიჭრა. 1857-1859 წელს მამია ლეკთა რაზმებშია, რომელთაც გზა გაჰყავდათ. შემდეგ თავს ანებებს სამხედრო სამსახურს. 1876 წელს ის კვლავ შედის სამხედრო სამსახურში ერთ-ერთ ცხენოსან პოლკში, რომელიც ქუთაისში იდგა.

1861-1870 წლებში მამია უმთავრესად სცხოვრობდა მამულში, ხან ქუთაისსა და თბილისში. მამია მალე დაუახლოვდა თბილისის საზოგადოებას. ეს პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში საზოგადოებრივი აზრის მძლავრი ამოძრავების ხანაა. მამია „ამჟამად ნორჩი და სულსხით სავსე, ყოველის ახალის შთაბეჭდილებისათვის მზად ყოფილი შემოვიდა ახლად გაღვიძებულს საზოგადოებაში, სადა ქართულის ენისა და სცენის სიყვარულის ხმა გაისმა პირველად და ეს სიყვარული სამშობლოს საქმეთა გულში ღრმად „ჩაიქდია" *) „ცისკარის" ფურცლებზე ჩნდებიან მამიას ლექსები.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ლეგ. ა. თ.

*) იხ. მამია გურიელის თხზულებანი. ი. მეუნარგიას წერილი.

# ილუსტრირებული მიმოხილვა









აღმოსავლეთის ფრონტზე ისევ ზამთარია. გერმანელ მეთხილამურეთა ბატალიონი მიდის საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.— გერმანელთა ტანკი აღმოსავლეთის ფრონტის ერთ-ერთ სოფელში.— მოხალისე ყაზახი ცხენოსნები შეტევის წინ.— ტუნისი.გერმანიის ჯარის მოტო-ნაწილები მიდიან ფრონტისაკენ.

# გასართობი

## სვლა ცხენისაა

| | | | |
|---|---|---|---|
| ა | შო | თო | გრი |
| ჩა | ეს | ნ | უ |
| რეს | ვი | ინ | ერ |
| გზა | შა | მთვა | დათ |
| | ჩხუ | და | |
| ხი | და | შე | ბი |
| და | გა | ხელ | მზე |
| თურ | დი | დი | შორ |
| დი | დენ | მე | ერთ |

ამ 34 კვადრატში განლაგებული მარცვლები და ასოები დაფარეთ ჭადრაკის ცხენის სვლით ისე,რომ მიიღოთ ა.წერეთლის პოემა „ნათელადან“ ერთ-ერთი კუპლეტი.

## შეადგინეთ სიტყვები. №4

ქვემოდ მოთავსებული ასოებისა და მარცვლებისაგან:

ა - ა - ა - არ - ბორ - ბა - ბი - ბა - ბე - გო - გი - გი - დონ - დი - დრე - ზამ - ზონ - ის - კი - კა - კა - კბე - ლი - ლე - ლექ - მი - მი - მა - მა - ნავ - ნო - რა - რა - რი - რვე - სა - სპი - სან - თა - თო - თრო - თე - თნულ - შვი - ში - ხვან - ხო - ქკა - ჯო - ტი - ტე - ტი - ტრი - პე - წი - ზღვა - ყაზ.

შეადგინეთ სიტყვები შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. ღვინო საქართველოში, 2. ქართული კურორტი, 3. ქართველი რომანტიკოსი პოეტი, 4. კოლხიდის თქმულების გმირი, 5. გერმანელი კლასიკოსი, 6.ზღვის ნაპირა ქალაქი საქართველოში, 7. ხილი, 8. სერვანტესის ცნობილი ნაწარმოები, 9. ძველი ქართველი ფილოსოფოსი, 10. სახელმწიფო ევროპაში, 11. ტბა, რომელსაც სიდიდის გამო ზღვას უწოდებენ, 12. მწვერვალი სვანეთში, 13. ქართველი მწერალი, 14. ყველაზე განიერი მდინარე მსოფლიოში, 15. შექსპირის ცნობილი ტრაგედია.

### გაზ. საქართველოს“ №10-ში მოთავსებული ამოცანების ამოხსნა:

**ცხენის სვლა**

„ენას გიწუნებ ფშაველო
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს
მკითხველიც ამას მკისაო!..“

**შეადგინეთ სიტყვები №3**

1. გრიგოლ ორბელიანი, 2. იმერეთი, 3.გელათი, 4.ფალიაშვილი, 5.ჯიოვანი, 6. დათვი, 7. ბალზაკი, 8. ცეილონი, 9. ჩინური, 10.მაგელანი, 11.ფარაონი, 12. ზურაბ ანტონოვი, 13. სიმინდი, 14. ფიროსმანი, 15. წაბლი.

# მოკლე ცნობები

▲ დანიის მეფემ-გამოჯანსალების შემდეგ თავის აუდენციაში მიიღო სკავენიუსის მთავრობა.

▲ სამხრეთ შვეიცარიაზე კვლავ გადაიფრინა ესკადრილიამ, რომელიც 20 თვითმფრინავისაგან შესდგებოდა. დღემდე გამოურკვეველია რომელ სახელმწიფოს ეკუთვნიან ეს თვითმფრინავები.

▲ მუსოლინმა გენერალი ალბერტო პარიანი დანიშნა ალბანეთის ნაცვალად.

▲ სარაჯოღლუს მთავრობამ თურქეთის ნაციონალურ კრებას წარმოუდგინა მოხსენება თავისი პოლიტიკის შესახებ, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული.

▲ გენერალისიმუს ფრანკომ იუსტიციის მინისტრად დანიშნა აუნუსა პერეზა, იმის გამო, რომ ყოფილი მინისტრი ბილბაო დანიშნული იქნა კორტესთა თავმჯდომარედ.

▲ ლორდ სუინსტონი ინგლისის პრეზიდენტი დასავლეთ აფრიკისა გადაყენებულია თავისი თანამდებობიდან.

▲ ალჟირიდან იტყობინებიან, რომ გენერალმა ჟირომ გააუქმა ვიშის მთავრობის მიერ აფრიკაში გამოცემული კანონები, რომლებიც ებრაელებს ეხებოდნენ.

▲ ნიუ-იორკის პრესის განცხადებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს მიიღოს ზომები საფრანგეთის კუნძულ მარტინიკის გუბერნატორის წინაალმდეგ, რომელიც ბოლომდე დარჩა ერთგული მარშალ პეტენისა.

▲ ყოფილ ჩეხეთზე გერმანიის პროტექტორატის წლისთავის აღსანიშნავად პრეზიდენტმა ჰახამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ადოლფ ჰიტლერს.

▲ ინგლისის თვითმფრინავები კვლავ განაგრძობენ შვეიცარიის ტერიტორიაზე ფრენას. შვეიცარიის აღმოსავლეთსა და დასავლეთ ოლქებში გამოცხადებული იყო საჰაერო განგაში.

## ჩუნკინგის ჯარი

დომეის სააგენტოს ცნობით ჩუნკინგის 25 ათასი ჯარისკაცი დამატებით გადავიდა ნაციონალური ჩინეთის მხარეზე. ჩუნკინგის ჯარისკაცები ამ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ მას შემდეგ, რაც მათი უფროსი გენერალი ლივენლი ტყვედ ჩავარდა და განაცხადა ნანკინთან თანამშრომლობის სურვილი. სულ უკანასკნელ ხანებამდე ნანკინის მხარეზე გადმოვიდა ჩუნკინგის ჯარის 75 ათასი ჯარისკაცი.

ჩუნკინგის არმიის დანაკარგი 1942 წლის განმავლობაში აღწევს 2 მილიონ ჯარისკაცსა და ოფიცერს. ჩუნკინგის დაცვის უმაღლესი საბჭოს ცნობაში, რომელიც ხელში ჩაუვარდათ იაპონელებს, აღნიშნულია, რომ ჩან-კაი-შეკმა დაჰკარგა 642.675 მოკლული ჯარისკაცი, 1.287.642 დაჭრილი და ტყვედაა 21.314 ჯარისკაცი.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 29

ქართული სტამბა, ბერლინი.
Deutscher Verlag, Berlin.